

ტაქსის მფლობელებს მანქანის გადაღებვის ვაუჩერებს გადასცემენ



2019 წლის 1 ოქტომბრიდან ტაქსის მძღოლებს თეთრი ფერის მანქანებით მოძრაობის ვადღებულება ექნებათ. ამასთან დაკავშირებით მერია ავტომობილის გადაღებვის ვაუჩერს გადასცემს ტაქსის იმ მფლობელებს, რომელთაც დიცენზია 10 ოქტომბრამდე ექნებათ, აქვთ

ჩატარებული ტექდათვალიერება, მანქანა კი ოთხკარიანი და მარცხენასაჭიანია.

დედაქალაქის მერის თქმით, ვაუჩერებისთვის თანხა ბიუჯეტიდან არ დაიხარჯება, არამედ გამოცხადდება კონკურსი და ამ კონკურსში გამარჯვებული კომპანია უზრუნველყოფს ტაქსების შეღებვას. სანაცვროდ კი ამ კომპანიას ექნება უფლება ამ ავტომობილებზე 2 წლის განმავლობაში განათავსოს რეკლამა.

“1 ოქტომბრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს უკვე გაცემული აქვს 12000-მდე ნებართვა და ახლაც მიმდინარეობს ნებართვის გაცემა მსურველებზე, ამის პარალელურად, იცით, რომ 1 ოქტომბრიდან, თბილისში უკვე მოძრაობენ რეგისტრირებული, დიცენზიის მქონე ტაქსები და კიდევ ერთხელ შევახსენებ ტაქსის სერვისით განხორციელების მსურველებს, რომ ვინც არ არის დარეგისტრირებული, მათ ამ სერვისის განწევისთვის გამოეწერებათ ჯარიმა 200 ლარი”, – აღნიშნა კარაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე.

საკრებულომ ტაქსების რეგულაციის წესი 27
ივლისს დაამტკიცა. რეგულირების მეორე ეტაპი 2019 წლის
პირველი ოქტომბრიდან დაიწყება და საჭისა და კარების გარდა,
ყურადღება ტაქსის ფერსაც მიექცევა.